დანართი:

ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორიზნტი " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე ხანძარსაწინაამღდეგო უსაფრთხოების დაცვის წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1.ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორზონტი"ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე (შემდგომში - კოლეჯი) ხანძარსაწინაამღდეგო უსაფრთხოების დაცვის წესები (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

2.1კოლეჯი უზრუნველყოფს:

ა. კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;

ბ. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას.

დ. საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციის უზრუნველყოფას.

მუხლი 3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

3.1. კოლეჯში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება.

3.2. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით:

- ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით;
- ევაკუაციის გზის მანათობელი მაჩვენებლებით;
- ავარიული განათებით;სახანძრო ინვენტარით,
- ხანძარსაწინაამღდეგო გამაფრთხილებელი ამკრძალავი ნიშნებით;
- სახანძრო სტენდით .

3.3..კოლეჯის შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები (4 ცალი)

3.4შენობას აქვს 4 საევაკუაციო გასასვლელი,რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.5. თითოეული თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო სამსახურს (ამასთან აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი, აგრეთვე შეატყობინოს თავისი გვარი, სახელი);

ბ) შეძლების დაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში მიაწოდონ მის ხელთ არსებული სიტუაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია სახანძრო სამსახურს .

3.6. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დადგენილი წესით დანიშნული პასუხისმგებელი პირი ,შრომის დაცვის და ტექნიკური უსფრთხეობის სპეციალისტი:

ა) შეატყობინოს ხანძრის გაჩენის შესახებ სახანძრო სამსახურს, აგრეთვე კოლეჯის ხელმძღვანელობასა და სხვა თანამშრომლებს .

ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ადამიანთა გადასარჩენად;

გ) საჭიროების შემთხვევაში გამორთოს ელექტროენერგია შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო , გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან;

ე) გაიყვანოს საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა თანაშრომელი და პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობაში;

ზ) სახანძრო სამსახურის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელოს ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა;

თ) შეაძლებლობის ფარგლებში აკონტროლოს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;

ი) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიოს მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;

კ) ორგანიზება გაუწიოს სახანძრო სამსახურის ჯგუფს შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;

ლ) სახანძრო სამსახურის ჯგუფს მისვლისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ, შენახული და გამოსაყენებელი ნივთიერებების, მასალების, ნაწარმის რაოდენობასა და ხანძარსაშიშ თვისებებზე და ხანძრის წარმატებით ლიკვიდაციისთვის საჭირო სხვა მონაცემებზე, აგრეთვე გაუწიოს ორგანიზება ობიექტის ძალებისა და საშუალებების ჩაბმას ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში.

3.8. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ხანძრის შესახებ შეტყობინების მისაღებად საქართველოს სატელეფონო ქსელში დადგენილი ნომერი ,,112''.

მუხლი 4. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა

4.1 იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯს არ გააჩნია კომპეტენცია, სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯის სტუდენტებს/პერსონალს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, ოპერატიულად იქნება გამოძახებული სასწრაფოდახმარება.

მუხლი 5. პერსონალის გავარჯიშება ინსტრუქტაჟი და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისინაობის შემოწმება

5.1.კოლეჯში ყოველ ექვსთვეში ერთხელ ერთხელ ტარდება ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება ხანძარსაწინაამღდეგო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმების პარალელულად.

5.2. ხანძარსაწინაამღდეგო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმებაზე პასხუხიმეგებლი პირია მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კორდინატორი დიმიტრი ნაცვალაძე.

5.3. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება კოლეჯში ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით ყოველ ექვსთვეში ერთხელ.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

6.1კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას,

6.2.საკითხები რომლებიც არ არის ასახული წესში რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

7.1.ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

7.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით

დირექტორი : **ნანა ჯოლია**

23707949 7
NINILE COLLEGE HORIZONTI